საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 29 25/06/2020

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე პირდაპირი განკარგვის წესით (აუქციონის გარეშე) სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით (აუქციონის გარეშე) ერთი წლის ვადით გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება შპს ედემ ლალიკოსთან (ს/ნ 405368677) მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 30.11.33.155 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 63.0 კვ.მ. ფართზე (თანდართული ნახაზის შესაბამისად);

2. სარგებლობაში გადასაცემი ფართის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს დანართი №1 -ის შესაბამისად;

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11, მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე